



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 51

2016 წლის 23 ივნისი



ხაშური

ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით ფართის გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი განთავსებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში (ს.კ 69.08.63.065). ა(ა)იპ-ის დირექტორის 2015 წლის 25 დეკემბრის №188 მომართვის საფუძველზე მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული შენობის მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს, რათა ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს აღნიშნული ფართით წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ხაშურში, რუსთაველის ქუჩა №38-ში მდებარე (ს.კ 69.08.63.065) უძრავი ქონების მეორე სართულზე არსებული არასაცხოვრებელი ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრს (ს.კ 443567141);
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების 1-ლი პუნქტის შესრულებასთან;
3. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
4. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე

ვაჟა შუბითიძე

